21
605/2 6166
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 132 (1146) | კვირა, 3 ნოემბერი, 1957 წ. | გამოცემის მე-14 წელი | ფასი 30 კაპ.

დიდი ოქტომბრის
სოციალისტური
რევოლუციის მე-40
წლისთავის
შესახვედრად

◆

თასი მოსკოვის გუნდებმა მოიპოვეს

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში დამთავრდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი კალათბურთელთა ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბალტიისპირეთისა და ბელორუსიის, შუა აზიის, ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადებში გამარჯვებული გუნდები და უკრაინის, რსფსრ-ს, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივები.

მოედანზე პირველად გამოვიდნენ ლენინგრადისა და ლიტვის ქალთა გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება ლენინგრადელებმა მოიპოვეს — 42:41. ვაჟთა გუნდების შეჯიბრება გახსნეს ყაზახეთის და აზერბაიჯანის კოლექტივებმა. შეხვედრა მოიგეს ყაზახეთის სპორტსმენებმა — 57:53. მოსკოვის ქალთა გუნდმა შედარებით იოლად დაამარცხა ყაზახეთის კოლექტივი — 74:43. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ამავე კოლექტივების ვაჟთა გუნდების შეხვედრა. პირველ ნახევარში ანგარიში საყაიმო იყო — 31:31. მაგრამ მასპინძლებმა ძლიერად ჩაატარეს შეხვედრის მეორე ნახევარი და მოიგეს იგი 76:54. საქართველოს ქალთა გუნდმა დამარცხება განიცადა მოსკოვთან — 40:63 და დაკარგა ტურნირში შემდგომი ბრძოლის უფლება.

გათამაშების ფინალში შეხვდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის ქალთა და ვაჟთა გუნდები. ქალთა კოლექტივების შეხვედრაში გაიმარჯვეს დედაქალაქის სპორტსმენებმა — 54:44. მეტად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ვაჟთა გუნდების შეჯიბრება. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 86:75.

მოსკოვის ვაჟთა და ქალთა გუნდებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სპეციალური თასი.

• • •

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მოეწყო „ა“ კლასის ქალთა გუნდების (1958 წლის ჩემპიონატის) კენჭისყრა. პირველი წრის პირველი ტურის შეხვედრები დაიწყება 26 იანვარს თბილისსა და ტალინში. მეორე ტურის ჩატარება განზრახულია ლენინგრადში 20 თებერვლიდან; მეორე წრის პირველი ტურის თამაშები იწყება 22 მარტს რიგასა და კაუნასში. ხოლო უკანასკნელი, გადამწყვეტი შეხვედრები გაიმართება მოსკოვში. თბილისის ჯგუფში ითამაშებენ შემდეგი გუნდები: მოსკოვის „მეტალურგი“, „სტროიტელი“, რიგის „დაუგავა“, როსტოვის და თბილისის კოლექტივები და ლენინგრადის ოფიცერთა სახლის გუნდი.

ი. პარლაგაშვილი,
მოსკოვი, ჩვენი სპეც. კორ.

სურათზე: საკავშირო მძლეოსნურ კროსში გამარჯვებული ვ. კუცი (წინა პლანზე) დისტანციაზე.

იგორ ნოვიკოვი—მსოფლიოს ჩემპიონი

გასულ კვირას სტოკჰოლმის მახლობლად „სკუგა გოტანის“ ტყეში დაიწყო თანამედროვე ხუთჭიდელთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი. პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ცხენოსნები დოღში, 3 500 მეტრზე. ამ სახეობაში ყველაზე მაღალი შედეგი ჰქონდა გამოცდილ შვედს ტოფელტს.

ხუთჭიდის მეორე სახეობამ — ფარიკაობამ ლიდერთა მდგომარეობა შესცვალა საბჭოთა გუნდმა აჩვენა მაღალი ოსტატობა და წააგო მინიმალური უპირატესობით მხოლოდ ერთი შეხვედრა. პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგები ჰქონდათ ნოვიკოვსა და ტატარინოვს.

როდესაც ხუთჭიდელები, მესამე დღეს დადგნენ ცეცხლის ხაზზე, მაყურებელთა მთელი ყურადღება გადატანილ იქნა მე-11 ფარისკენ. აქ პირველობისათვის იბრძოდა ნოვიკოვი. ყოველ სერიას, რომელსაც დიდი ოსტატობით ამთავრებდა ნოვიკოვი, ხალხი ტაშისცემით ხვდებოდა.

„სპორტ პალასის“ 50 მეტრიან საცურაო აუზში 29 ოქტომბერს დაიწყო შეჯიბრება ცურვაში. დისტანციის სიგრძე 300 მეტრი იყო. პირველ გაცურვაში სტარტი აიღო ნოვიკოვმა. იგი 3.59,1 შედეგით მოვიდა ფინიშთან. მაგრამ საბოლოო სიტყვა ჯერ არ ქონდათ ნათქვამი სხვა წამყვან სპორტსმენებს. ერთიმეორეზე ამთავრებენ ისინი დისტანციას, მაგრამ ნოვიკოვის შედეგის გაუმჯობესება ვერც ერთმა ვერ მოახერხა.

უკანასკნელ სახეობის წინ საბჭოთა გუნდი საგრძნობლად უსწრებდა მთავარ კონკურენტებს ფინეთის, უნგრეთის, შვეციისა და შეერთებული შტატების წარმომადგენლებს.

რბენას სტარტი მიეცა ოლიმპიურ სტადიონზე. შემდეგ ტრასა გადიოდა ქალაქში. ის სპორტსმენი, რომელიც მანძილს 15 წუთში და უფრო ადრე გაირბენდა, იღებდა 1000 ქულას. ფინიშთან პირველი მოვიდა რუმინელი ცინტა. მისი შედეგი იყო 15.59,2. შემდეგ ფინიშთან მოვიდა ტარასოვი — მისი შედეგი საკმაოდ მაღალი იყო — 14.34,5. ნოვიკოვმა მანძილი გაირბინა 15.08,2. ტატარინოვმა — 16.31,8. შეჯამდა რბენის შედეგები, გამოირკვა რომ საუკეთესო შედეგი ჰქონია პოლონელ პშიბილსკის — 14.26,8. მეორე ადგილზე გამოვიდა ტარასოვი, ხოლო მესამეზე ინგლისელი კობლეი — 14.44,7. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა სპორტსმენების შედეგების გაუმჯობესება ვერავინ ვერ შეძლო.

დამთავრდა უძლიერესთა ტურნირი. პირველი ადგილი და მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა საბჭოთა ხუთჭიდელმა იგორ ნოვიკოვმა. მისი შედეგია 4759 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა მისი თანაგუნდელი ტარასოვი — 4445 ქულა. ტარასოვს გადაეცა ვერცხლის მედალი.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: 1. სსრკ, 2. ფინეთი, 3. უნგრეთი, 4. შვეცია, 5. აშშ.

გამარჯვებულთა დაჯილდოება

ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების 1957 წლის სპარტაკიადისათვის საქართველოს სპორტული დელეგაციის ნაკრები გუნდების წარმატებით მომზადებისა და ცალკეულ სპორტსმენთა მიერ მაღალი მაჩვენებლებისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

გამოეცხადოს მადლობა და დაჯილდოებულ იქნან ფასიანი საჩუქრებით:

ჯაფარიძე ნ., იურევა ვ., გრიგორიანი გ., შეპილოვა ფ., (კალათბურთი), ხუდოიანი შ., (კრივი), სხირტლაძე გ., დავლიანიძე ჯ., ჯინჭარაძე გ., არსენიანი ვ. (ჭიდაობა), კუხიანიძე ვ. (მწვრთნელი ჭიდაობაში), ჩიტიაშვილი გ., კარტოზია გ., ჭითავა ზ. (ჭიდაობა), ბირიუკოვი პ., კვინიკაძე მ., კარპენკო ა., დიასამიძე მ. (ველოსპორტი), შარაბიძე გ., კლიმოვა ვ., ჯულელი მ., ნინოშვილი მ., კაჭახიძე რ. (ტანვარჯიში), ბახუტაშვილი ნ., თედეევი ს. (მწვრთნელები ტანვარჯიშში). საზონოვა ვ., გირდა ნ., ბაიდანოვა პ., ბაიდანოვა გ., მარეხაშვილი მ. (ნიჩბოსნობა), თურქია მ. (წარმომადგენელი ნიჩბოსნობაში), რაზმაძე ლ. (მწვრთნელი ნიჩბოსნობაში), გვახარია ნ., ჩხიკვაძე ი., (წყალბურთი), დგებუაძე ა., კუზმინი ვ.. ერისთავი მ. (ცხენოსნობა), სიტკო ნ., კულიკოვი ა (მწვრთნელები ცხენოსნობაში), შავლაყაძე რ., ჩხეიძე ვ., შჩერბინა ა., როზანოვა ს., დვალიშვილი ნ., დუმბაძე ნ., ხოლოდოკი ო. (მძლეოსნობა), ჩხეიძე თ., გრიგორიანი ვ. (მოტოსპორტი), ნიკიტინი ბ., კამენსკი ბ., რომანოვი ვ. (ცურვა), იოაკიმიდი ლ. (მწვრთნელი ცურვაში), ანანიკიანი რ., სტროი ა., ბუხარინი ვ., იგნატიევი ა., ჯაბახიძე ვ., საგანელიძე ი., მაჩხანელი ზ., სიმონიანი ლ. (სროლა), მურომცევი ი. (თანამედროვე ხუთჭიდი), ვერულავა ა., აბქანდაძე რ., მძინარიშვილი ლ. (ჩოგბურთი), კლდიაშვილი მ. (მწვრთნელი ჩოგბურთში), ებრალიძე კ., დათიკაშვილი რ., ხანუკაშვილი ხ. (ძალოსნობა), გუძაშიანი პ. (მწვრთნელი ძალოსნობაში), ცირეკიძე რ., შეყრილაძე ლ. (ფარიკაობა), დარასელია შ. (მწვრთნელი ფარიკაობაში), ირემაძე ვ., სიხარულიძე კ., ტომარაძე შ., გალოიანი ი., იაკუშევი პ., თარბა ზ., შენაბდე გ., ნაროზაშვილი ს. (ფეხბურთი).

გამოეცხადოთ მადლობა:

ნ. ტოტიაშვილს, ზ. ჯოხთაბერიძეს (კალათბურთი), გ. დარბაისელს, ი. შეპეტკოვს, თ. მიქაელიანს (კრივი), თ. ფურცელაძეს (კრივის სექციის თავმჯდომარე), ა. გოლდშტეინს, (მწვრთნელი კრივში), ა. ბაქრაძეს (სახელმწიფო მწვრთნელი კრივში), რ. იმნაძეს (პოლიტხელი კალათბურთსა და კრივში), ს. გაბარაევს, ზ. მჭედლიშვილს, რ. ძნელაძეს, გ. სინაურიძეს, ო. ეგაძეს (ჭიდაობა), მ. თიკანაძეს, ლ. ძეკონსკის, ლ. კაპიტონოვს (მწვრთნელები ჭიდაობაში). დ. კინწურაშვილს (პოლიტხელი ჭიდაობაში), ა. თავაძეს (ველოსიპედი), გ. ფარცვანიას (მწვრთნელი ველოსპორტში), ს. ნათაძეს (წარმომადგენელი ველოსპორტში), კ. ბიბილურს (ველოსპორტის სექციის თავმჯდომარე), ი. ნარიმანოვს, გ. ვარდიაშვილს (ტანვარჯიში), ნ. თაყაიშვილს (მწვრთნელი ტანვარჯიშში), ლ. ნასყიდაშვილს (ნიჩბოსნობა), ფ. ხუროშვილს (მწვრთნელი ნიჩბოსნობაში), შ. აფციაურს, ა. ბარანოვსკის (ცხენოსნობა), ა. ფალავანდიშვილს (საცხენოსნო სპორტის სექციის თავმჯდომარე), რ. კურატაშვილს (პოლიტხელი საცხენოსნო სპორტში), ე. ლომთაძეს, რ. ტრაპაიძეს, ვ. ბლიაძეს, გ. ლექავას (მძლეოსნობა), ვ. რუხაძეს, ა. კაფაროვს, ვ. ბარასევას (მოტოსპორტი), მ. კახიძეს (წარმომადგენელი მოტოსპორტში), ე. მახარაძეს, ვ. მამჩინს, (ცურვა), ე. სალუქვაძეს (პოლიტხელი სპორტის საწყლოსნო სახეობებში), დ. ფილიევს, ა. შილოვს, ზ. სოტნიკოვს, კ. პროზოროვს, ვ. სალუქვაძეს (სროლა), ი. ლეკიშვილს (მწვრთნელი სროლაში), მ. ხურცილავას (წარმომადგენელი ტყვიით სროლაში), დ. ცოგანკოვს (წარმომადგენელი სასტენდო სროლაში), ჯ. მოწონელიძეს (ნაკრების უფროსი სასტენდო სროლაში), რ. მანჯავიძეს (მწვრთნელი თანამედროვე ხუთჭიდში), ა. ზამბახიძეს (წარმომადგენელი ხუთჭიდში), გ. მუსაელიანს, ნ. პუგაევას (ჩოგბურთი) ვ. დიდიძეს (წარმომადგენელი ჩოგბურთში), ვ. კანდელაკს (ჩოგბურთის სექციის თავმჯდომარე), ი. ქართველიშვილს, ი. ყუბანეიშვილს (ძალოსნობა), გ. კაპცოვს, კ. ზაუტაშვილს (მწვრთნელები ძალოსნობაში), ო. აბუაშვილს (ნაკრების უფროსი ძალოსნობაში), გ. გოგელიას, ნ. ასათიანს (ფარიკაობა), ტ. მესხს (მწვრთნელი ფარიკაობაში), კ. გონაძეს (პოლიტხელი ფარიკაობასა და სროლაში), ა. მეიფარიანს (ფარიკაობის სექციის უფროსი), ს. ადამოვს (ფეხბურთი), თ. გოგიშვილს (პოლიტხელი ფეხბურთსა და ჩოგბურთში), გ. ჯინჭარაძეს (ფეხბურთის სექციის თავმჯდომარე), ი. ალლაძეს ა. გოგოლაშვილს, ნ. გურგენიძეს, კ. კონდრატენკოს (ექიმები), მ. ბარხუდაროვს (ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თანამშრომელი), ვ. ცატუროვს (სამეურნეო მუშაკი), ნ. ბერიანიძეს, ნ. უგულავას (ავტომძღოლები), შ. სუხიშვილს, ა. კორინთელს, გ. გაჩეჩილაძეს, ნ. მუსასტიკოვს (ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თანამშრომლები), გ. რცხილაძე (თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე), შ. მეავანაძეს (აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე), რ. ხიკუბას (აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე), ა. ჩოგოვაძეს (ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე), ო. კემულარიას (ფოთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე), ბ. პაიჭაძეს (სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ თავმჯდომარე), ხ. გაგნიძეს (თბილისის რესტორნების ტრესტის შეფ-მზარეული), ა. მამედოვს (ბაქოს სამხვაჭრობის საგარნიზონო სასადილოს დირექტორი).

დიდი ოქტომბრის
სოციალისტური
რევოლუციის მე-40
წლისთავის
შესახვედრად

◆

28 გუნდის მონაწილეობით

ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში დაიწყო დიდი ოქტომბრის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ფრენბურთელთა გუნდებს შორის, რომელშიც მონაწილეობს ქალაქ თბილისის ქალთა 13 და ვაჟთა 15 კოლექტივი.

ქალთა გუნდების შეჯიბრებაში უკვე გამოვლინდნენ ფინალისტები. ესენი არიან ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელები, რომლებმაც მეოთხედფინალში დაამარცხეს პედაგოგიური ინსტიტუტის, ხოლო ნახევარფინალში პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები და თბილისის განათლების განყოფილების ახალგაზრდული გუნდი.

ვაჟთა ქვეჯგუფში გამოვლინდნენ მხოლოდ ნახევარფინალის მონაწილენი. ესენი არიან ფიზკულტურის ინსტიტუტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და ოსკ-ს გუნდები. ვაჟთა გუნდების შეხვედრებიდან აღსანიშნავია ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენების გამარჯვება განათლების განყოფილების წარმომადგენლებზე. სტუდენტებმა თავიანთ ახალგაზრდა მეტოქეებს სძლიეს დაძაბულ ბრძოლაში 17:15, 15:13.

3-დან 5 ნოემბრამდე გაიმართება ფინალური შეხვედრები.

პროფკავშირელი სპორტსმენები—სტარტზე

ბათუმში დამთავრდა აჭარის პროფკავშირელ სპორტსმენთა სპარტაკიადა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავს.

ჭადრაკში, სროლასა და მაგიდის ჩოგბურთში წარმატებით გამოდიოდა კულტურის მუშაკთა პროფკავშირის გუნდი. საინტერესო გამოდგა შეხვედრები ფრენბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სახელმწიფო დაწესებულებათა და ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ფრენბურთელები. მექარხნეებმა კარგად ჩაატარეს თამაში და გაიმარჯვეს.

გუნდური პირველი ადგილი და სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა სახელმწიფო დაწესებულებათა გუნდმა, რომელმაც მეორე ადგილები დაიკავა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ოთხივე სახეობაში. გამარჯვებული გუნდის სახელით გამოდიოდნენ აჭარის ჩემპიონი ჭადრაკში გ. ჭანტურია. პირველთანრიგოსანი ფრენბურთელები ე. დანელიანი, მ. ლორია, ვ. გუტნიკი და სხვ. მეორე ადგილზე გამოვიდნენ კულტურის მუშაკთა პროფკავშირის სპორტსმენები, მესამეზე — მედიცინის მუშაკთა სპორტსმენები.

სურათზე: ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პარდუბიცეში მოწყობილ ცხენოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების ერთი მომენტი.

ჭადრაკი და სკოლამდელები

გაზეთ „ლელოს“ 1 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა ვ. ქარსელაძის წერილი „მცირეწლოვანი ბავშვების ჭადრაკით დატვირთვის შესახებ“. შესავალში ნათქვამია, რომ ჭადრაკში სახელმძღვანელოს შექმნის საკითხი დიდი ხანია მეტად მწვავედ დგას და მისი უქონლობა ბევრ დაბრკოლებას ქმნის ჩვენს მუშაობაშიო“ — ეს არ შეეფერება სიმართლეს. საბჭოთა კავშირში საკმარისადაა გამოცემული სახელმძღვანელოები და პროგრამები, უფრო მეტიც, ჭადრაკის სწავლების მეთოდიკის საკითხებზე დიდი ხანია დაიწყო სამეცნიერო ხარისხების დაცვა. ყოველივე ამან ნაწილობრივ განაპირობა ის, რომ ჭადრაკში ჩვენი ქვეყანა უძლიერესია მთელს მსოფლიოში. შემდეგ იგი გვპირდება გაგვაცნოს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტის გამოცდილება. „1954 წლიდან მუშაობა დავიწყე მცირეწლოვან ბავშვებთან. საკითხის დეტალურად შესწავლითა და პირადი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ ჭადრაკში ბავშვების ჩაბმის ასაკად მიღებული უნდა იქნას 7–8 წელი“. ეს არის და ეს. მხოლოდ ამ სიტყვებით ამოიწურება დიდი იმედების მომცემი დაპირება გამოცდილების გაზიარების შესახებ. საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ იმ პერიოდში მე ვმუშაობდი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში და არავითარი შესწავლა ჩვენ არ მოგვიხდენია. ისმის კითხვა, თუ ვ. ქარსელაძე ასე გარკვეული იყო პედაგოგიკაში, რატომ დაუწყია თვითონ მუშაობა მცირეწლოვანებთან, ან რატომ არ გვიზიარებს გამოცდილებას— რა ასწავლა, როგორ ასწავლა და რა წინააღმდეგობას წააწყდა ბავშვის ბუნებაში? ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემდა კრიტიკული აზრი გამოგვეთქვა და დაგვედგინა, უშედეგობის მიზეზი ჭადრაკი იყო თუ სწავლების მეთოდი. ამის ნაცვლად სრულიად ნათელი საკითხები ტენდენციურად არის ერთგვარ ბურუსში გახვეული. მაგალითად „4-დან 7 წლამდე ბავშვის აზროვნებას მხოლოდ დინამიკურობა ახასიათებს“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დაბადების დღიდან ბავშვისათვის დინამიკურობაა დამახასიათებელი, ხოლო აზროვნება კონკრეტულია. ბავშვის მახსოვრობა აღსავსეა ინდივიდუალური წარმოდგენებით, აბსტრაქტული ბავშვში გადადის თვალდანახულ წარმოდგენებზე. სკოლამდელ ასაკში სწორი აღზრდა მოითხოვს, რომ აღმზრდელი არ დაკმაყოფილდეს ბავშვის მიერ სურათზე გამოსახული ცალკეული საგნების ცოდნით, არამედ გააღვივოს მასში უნარი, ჩაავლოს კავშირს მოვლენებს შორის. ორგანიზაცია შეიტანოს ბავშვის ცალკეულ აღქმებში.

ცნობილია, რომ ი. პ. პავლოვის მოძღვრებას პირველ და მეორე სასიგნალო სისტემებზე, მათ ურთიერთ მოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაში. თუ პირველი სისტემის გამღიზიანებლებს წარმოადგენენ საგნები, ხმები და სხვ. მეორესათვის კი, სიტყვა თავისი შინაარსით. მეორე სასიგნალო სისტემის წარმოშობა და განვითარება დამოკიდებულია გარემომცველ პირობებსა და აღზრდაზე. სიტყვასთან ერთად ვითარდება ბავშვის აზროვნება.

საბავშვო ბაღში 5–6 წლის ორმოცდაათამდე ბავშვს ვასწავლე ჭადრაკის განლაგება, სვლები და მივეცი წარმოდგენა შამათზე, ხოლო აქედან შევარჩიე ისეთები, რომლებიც მეტ აქტიურობას იჩენდნენ. ბავშვები დიდი ხალისით აშამათებდნენ მეფეს ორ და სამ სვლაში სადემონსტრაციო დაფაზე. სიტყვიერი დარიგება განმტკიცებული კონკრეტული მაგალითის ჩვენებით, ადვილად იკიდებს ფეხს ბავშვში. ჭადრაკის ანბანის, მეფეზე პირდაპირი მუქარების შექმნა და მისი დატყვევების სწავლისას არავითარ წინააღმდეგობას არ ვხვდებით ბავშვის ბუნებაში. ხოლო მეფის დამამათება შეუძლებელია ერთი ფიგურით, მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს ორმა ან მეტმა ფიგურამ ე. ი. ბავშვში ღვივდება და ვითარდება საგნებისა და მოვლენების დაკავშირების მეტად ძვირფასი თვისება, რის გამომუშავება უმაღლესი პრინციპია სკოლამდელის აღზრდაში.

უმართებულოა სკოლამდელებთან ჭადრაკის სწავლების უარყოფა იმ არგუმენტით, რომ „აზროვნება მომზადების პერიოდშიო“. საერთოდ მომზადების პერიოდი ხომ ნაჭუჭში არ მიმდინარეობს, რომ მერვე წელზე გამოტეხოს და მოგვევლინოს. უმართებულოა აგრეთვე ვ. ქარსელაძის შიში „არა გვაქვს საშუალება შევაკვეცოთ მოჭადრაკის აზროვნება, განვუსაზღვროთ, რა სიღრმემდე იფიქროს“. ცოტათი წინ ამტკიცებდა, რომ სკოლამდელის გონება ჭადრაკისათვის მოუმზადებელიაო, ახლა კი, ვაი თუ ღრმად იფიქროსო. როგორც ვხედავთ, ის წინააღმდეგობაში ვარდება. ყოველგვარი შიშის გასაფანტავად მოგაგონებთ, რომ აზროვნების სიღრმე ძირითადად ცოდნის მარაგით განისაზღვრება, ე. ი. ჭადრაკის დოზირებაც შესაძლებელი ყოფილა. ასევე წამალიც, განსაზღვრული დოზით გამაჯანსაღებლად მოქმედებს ორგანიზმზე, ხოლო გადაჭარბებით მიღებული — მომწამვლელია.

უფროს ჯგუფებს ვასწავლე ნოტაცია, ხოლო კომბინაციებზე გადასვლამ კიდევ უფრო გაზარდა ბავშვების სიყვარული ჭადრაკისადმი. მართალი გითხრათ, როდესაც საბავშვო ბაღებთან ვიწყებდი მუშაობას, მაშინ არ მქონდა გათვალისწინებული მათთვის კომბინაციების სწავლება. ხოლო ამას შესაძლებლობა აწვლების პერიოდში თვით ბავშვებმა მიკარნახეს. ცხადი ხდება, თუ რამდენად უადგილოა უშინსკის სიტყვების მოშველიება ვ. ქარსელაძის მიერ. „თუ ბავშვს ვასწავლით საგანს, რომლის შინაარსი არ შეეფერება მის ასაკს, წავაწყდებით დაბრკოლებებს თვით ბავშვის ბუნებაში, ხოლო ამ დაბრკოლებათა გადალახვის ცდა უფრო მეტ ზიანს მიაყენებს მოსწავლეს“. ასათვისებელი მასალის დოზირებული მიწოდების შემდეგ მე არავითარ წინააღმდეგობას არ წავაწყდი. თუ ქარსელაძე წააწყდა, რატომ არ ამბობს, ვის უმალავს?

„ლენინგრადისა და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების, — ვკითხულობთ წერილის დასასრულს, — ჭადრაკის სკოლების პრაქტიკამ ცხადყო შემდეგი: თანაბარი განვითარების და ჭადრაკისადმი თანაბარი მიდრეკილების შემთხვევაში, დამოუკიდებლად იმისა, ბავშვი 7 წლიდან იწყებს თამაშს თუ 10 წლიდან, 13–14 წლის ასაკში ისინი თანაბარი ძალით თამაშობენ“ ან „ბავშვს რომელიც ჭადრაკს სწავლობს 4-დან 7 წლამდე, 1 წლის მანძილზე უწევა მეორე ბავშვი, რომელმაც თამაში დაიწყო 7 წლის ასაკიდან“. ეს დებულება ეწინააღმდეგება განვითარებას და უგულებელყოფს დროის ფაქტორის მნიშვნელობას ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებაში. 14 წლის ასაკში ბავშვი ძირითადად აღწევს I თანრიგის ძალას. საერთოდ საკლასიფიკაციო გზას დაწყებითიდან I თანრიგის ჩათვლით მოჭადრაკე შედარებით თანაბრად გადის მემკვიდრეობით გადმოცემული ცოდნის ათვისების ხარჯზე, ხოლო შემდეგ დგება ერთგვარი შეყოვნების პერიოდი ახალი ხარისხობრივი ნახტომის გაკეთებამდე. ამ პერიოდში შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ თამაშის ძალა თითქოს გათანაბრდა. მაგრამ უამრავი მაგალითები ამტკიცებენ, რომ პირველთა მიერ (ადრე დაწყებულთა) შემდგომი წინსვლა უფრო სწრაფია და ეფექტური.

საბავშვო ბაღში ჭადრაკის წრის ჩამოყალიბების მიზანი, ჭადრაკის სპორტული სკოლისათვის კადრების შერჩევაში მდგომარეობს. თავისთავად ცხადია, საქმე ეხება ნიჭიერ ბავშვებს. პატარებიდან ყველაზე უფრო გამოირჩეოდა დღეისათვის უკვე 1-ლი სკოლის I კლასის მოსწავლე ირაკლი გუგუნავა. იგი იმდენად საგრძნობლად გამოირჩეოდა თავის ტოლებისაგან, რომ მე მასთან გავცილდი საბავშვო ბაღისათვის საერთო პროგრამით დასახულ ფარგლებს. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ცალკე უნდა აღვნიშნო ქარსელაძის ორჭოფული პოზიცია ვუნდერკინდების საკითხში, „კაპაბლანკასა და კერესის მიერ 4 წლის ასაკში ჭადრაკის თამაშის შესწავლა საოცრება არაა. ეს შესაძლებელია. საინტერესოა მხოლოდ ის, თუ რა ძალით თამაშობდნენ ისინი 7 წლამდე. რაც შეეხება რეშევსკის მაგალითს, იგი კიდევ დაზუსტებას მოითხოვს“ — ამბობს იგი. — მოგვყავს ამონაწერი კაპაბლანკას წიგნიდან „ჩემი საჭადრაკო კარიერა“. „მე ჯერ ხუთი წლისაც არ ვიყავი, როდესაც ერთხელ შემთხვევით მივედი მამაჩემთან კანტორაში, როცა ის ეთამაშებოდა ჭადრაკს ვიღაც კაცს. იმ დრომდე მე ჭადრაკი თვალით არ მენახა; ფიგურებმა დამაინტერესეს და მეორე დღეს კიდევ მივედი, რომ მენახა ეს თამაში. მესამე დღეს, როცა თვალყურს ვადევნებდი მამაჩემის თამაშს, მამაჩემმა გადაიყვანა მხედარი თეთრი მინდვრიდან მეორე თეთრ მინდორზე. მისმა მოწინააღმდეგემ ეს ვერ შეამჩნია. მე ვუჩვენე რაც მან გააკეთა. მამა შემეკითხა თუ საიდან ვიცოდი ჭადრაკი. მე ვუპასუხე, რომ შემიძლია მოვუგო მას. ჩვენ ვითამაშეთ და მართლაც მოვუგე. რამდენიმე დღის შემდეგ მამამ წამიყვანა ქალაქის ჭადრაკის კლუბში. კლუბის უძლიერესი მოჭადრაკეები წინასწარ ლაზიერის აყვანის შემთხვევაში უძლურები იყვნენ ჩემს წინააღმდეგ. იმ დროს შემთხვევით ჩამოსული ოსტატი ტაუბენგაუზიც იძულებული გახდა ეღიარებინა ეს“. ასეთი ძალით თამაშობდა 4 წლის კაპაბლანკა. ცხადია 7 წლის ასაკში იგი საკმაო ძალას წარმოადგენდა.

„ვუნდერკინდების მაგალითზე ვერ ავაგებთ ჩვენს მუშაობას, — ამბობს ქარსელაძე, — ასეთი ერთეული მაგალითები შეიძლება საინტერესო იყოს მხოლოდ როგორც იშვიათობა“. ჩვენის აზრით, ერთი უბანი ჩვენი მუშაობის სწორედ ასეთ მაგალითებზე უნდა ავაგოთ. ჩვენ უნდა გამოავლინოთ თუ გინდ ერთი ან ორი განსაკუთრებული მონაცემების ბავშვი, არა იშვიათობისა და სენსაციებისათვის, არამედ, რომ მოვამზადოთ ნიადაგი გროსმაისტერებისათვის ჭადრაკში. ამაში დაგვეთანხმება და მხარში ამოგვიდგება ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება.

ჩეხოსლოვაკელი გროსმაისტერი რიჰარდ რეტი თავის წიგნში „ჭადრაკის თამაშის თანამედროვე სახელმძღვანელო“, ასე ახასიათებს კაპაბლანკას „პირველივე შეხედვით, კაპაბლანკას თამაშში თვალში გვხვდება მისი უდიდესი დაჯერებულობა. თითქმის სრულიად ვერ ვხვდებით შეცდომებს პოზიციის შეფასებაში. ეს უეჭველად დაკავშირებულია იმასთან, რომ მან ჭადრაკი ადრე ბავშვობაში შეისწავლა და ის გახდა მის „მშობლიურ ენად“.

ადარებს რა ხ. კაპაბლანკას ა. რუბინშტეინს, რომელსაც მცოდნენი უფრო მაღლა აყენებდნენ აზროვნების სიღრმით, ხოლო ჭადრაკს გაეცნო მოგვიანებით და დროდადრო ახასიათებდა უხეში შეცდომები, რეტი ამბობს „იგი გვაგონებს ორატორს, მოლაპარაკეს არა მშობლიურ, არამედ უცხო ენაზე, შესწავლილს სიმწიფის წლებში და ამიტომ მიუხედავად აზრთა სიღრმისა, ყოველთვის ვერ პოულობს „მომგებიან“ გამოთქმებს. ხ. კაპაბლანკა პირიქით, თამაშობს რა ჭადრაკს, ლაპარაკობს თავის მშობლიურ ენაზე და ამიტომ ყოველთვის პოულობს სწორ ფორმას თავისი აზრის გამოსათქმელად“. შორს რომ არ წავიდეთ შეიძლება მოვიყვანოთ ნონა გაფრინდაშვილის მაგალითი, რომელიც ჭადრაკს გაეცნო 5 წლის ასაკში კვალიფიკაციურ მოჭადრაკეთა ოჯახში.

მარტის პირველ რიცხვებში ბავშვთა საჭადრაკო სკოლის ჯგუფში დავიწყეთ საკლასიფიკაციო ტურნირები V თანრიგის მისაპოვებლად I, II, III და IV კლასის მოსწავლეების მონაწილეობით. ერთ-ერთ ასეთ ჯგუფში ჩავწერეთ ირაკლი გუგუნავაც, მან 14 შესაძლებლიდან მოაგროვა 9 ქულა (საჭირო იყო 7 ქულა) და IV–V ადგილები გაინაწილა. მოგვყავს უკანასკნელ ტურში გათამაშებული პარტია, რომელიც ისე თანმიმდევრულად და ლოგიკურად ჩაატარა 6 წლის ირაკლიმ, რომ II თანრიგის მოჭადრაკეც კი არ დაიწუნებს. თეთრებით თამაშობს ი. გუგუნავა (№ 1 საბავშვო ბაღი), შავებით არჩილ ქავთარაძე (55-ე სკოლა IV კლ.).

1. e4 e5 2. d4 ed 3. c3.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ირაკლიმ არც კი იცოდა ამ დებიუტის სახელწოდება. დარიგების, კონკრეტული მაგალითებისა და გამოცდილების საფუძველზე ირაკლიმ შეითვისა განვითარების ზოგადი მნიშვნელობა.

3. ... d5 4. ed c6 5. მf3 dc 6. კd3 ლb6 7. მ:c3 მf6 8. 0—0 მ:d5 9. მ:d5 cd 10. ეe1+ კe7 11. კg5 f6 12. კe3 ლc6 13. ეc1 ლd7 14. კc5! მc6 15. კb5!! 0–0 16. კ:c6 bc 17. კ:e7 ეe8 18. კc5 კa6 19. ე:e8+ ე:e8 20. ლa4 კb5 21. ლa5 ლe6 22. კa7 g5 23. ეe1 ლc8 24. ე:e8+ ლ:e8 25. ლe1 ლd7 26. კc5 g4 27. მd4 კa6 28. ლe7 ლc8 29. მe6! ლ:e6 30. ლf8×

დღეისათვის ირაკლი 1-ლი სკოლის 1-ლი კლასის მოსწავლეა. მოგვყავს ამ პერიოდში მის მიერ მოგებული მინიატურული პარტია, რომელსაც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვუწოდოთ ბრწყინვალე უფრო მოზრდილი ასაკისათვისაც. (თეთრებით თამაშობს ირაკლი გუგუნავა).

1. e4 d5 2. ed ლ:d5 3. მc3 ლe6+ 4. კe2 ლg6 5. მf3! კf5 6. მh4 ლf6 7. მd5! ლc6? 8. კb5!!

8. ... კf5:c2 9. ლd1:c2! შავები დანებდნენ.

უნდა ითქვას, რომ ვ. ქარსელაძეს ბევრი აქვს გაკეთებული ბავშვთა შორის ჭადრაკის განვითარებისათვის. იყო დრო, როდესაც პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე ერთად ერთი დაწესებულება იყო ახალი კადრების აღზრდაში, მაგრამ არ არის მისასალმებელი ჩვენს მუშაობაში ახალი წამოწყების წინააღმდეგ გამოსვლა მხოლოდ იმის გამო, რომ ამასთან მისი სახელი არ არის დაკავშირებული. „ეს წამოწყება მისაბაძი მაგალითი არ არის“. — წერს ვ. ქარსელაძე. მაგრამ ის, რაც სხვისთვის „დაუშვებლად“ მიაჩნია, თვითონ დაუშვა თავის პრაქტიკაში, ისიც იმ პერიოდში, როცა ზემოხსენებულ წერილს ამზადებდა გაზეთისათვის. აბა რით აიხსნება ის გარემოება, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვი თ. დიასამიძე მეცადინეობს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კაბინეტში?

შ. ინწკირველი,
თბილისის ბავშვთა საჭადრაკო სკოლის პედაგოგი.

რედაქციისაგან: ჭადრაკში ადრეული სპეციალიზაციის საკითხი მეტად გულისხმიერ მოპყრობას მოითხოვს. ამიტომ რედაქცია თხოვს ჭადრაკის მწვრთნელებსა და სხვა დაინტერესებულ პიროვნებებს გამოთქვან თავიანთი აზრი.

შეხვედრა სპარტაკიადის მონაწილეებთან

31 ოქტომბერს თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში დედაქალაქის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყეს ამიერკავკასიის და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადაში მონაწილე საქართველოს სპორტსმენებს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ. ამიერკავკასიის და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადისა და საქართველოს სპორტსმენების 1959 წლის საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების შესახებ მოხსენება გააკეთა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. სიხარულიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ აკადემიკოსი რ. დვალი, აჭარის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე შ. მჟავანაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. გოკიელი და სხვ.

შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ჩუბინიძემ მთავრობის ჯილდოები გადასცა იმ სპორტსმენებს, რომლებიც დაჯილდოებულ იქნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით. ლენინის ორდენი გადაეცა სპორტის დამსახურებულ ოსტატს ო. ქორქიას, შრომის წითელი დროშის ორდენი გ. სიხარულიძეს, გ. კარტოზიას და სხვებს. დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდა ო. ქორქია.

* * *

1 ნოემბერს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტულ ბაზებზე გაიხსნა ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სპარტაკიადა.

მონაწილეებს მიესალმა ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ი. სარიშვილი, რის შემდეგ დაიწყო შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. კალათბურთში სატყეო ფაკულტეტის სტუდენტებმა ანგარიშით 50:39 მოუგეს აგრონომიულ ფაკულტეტს, მექანიზაციისა და მებაღეობის ფაკულტეტების ფრენბურთელთა შეხვედრაში ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს პირველებმა.

ს უ რ ა თ ზ ე: სატყეო და აგრონომიული ფაკულტეტების კალათბურთელთა შეხვედრა.

ჩემპიონები გამოვლინდნენ

სოხუმში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის I და II, აფხაზეთისა და ქუთაისის ტანმოვარჯიშეთა გუნდები.

ოსტატთა პროგრამით გამოდიოდა 9 ტანმოვარჯიშე. პირველი ადგილი და საქართველოს ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა დ. შელიამ, რომელმაც შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. მეორე ადგილი წილად ხვდა გასული წლის ჩემპიონს რ. პენკოვას, ხოლო მესამე — ე. დაშკოვას, რომელმაც აგრეთვე შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

პირველი თანრიგის პროგრამით მონაწილეთა შორის გაიმარჯვა თბილისელმა ლ. ტისიჩნაიამ.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა თბილისის I გუნდმა, მეორე — თბილისის II გუნდმა, ხოლო მესამე — აფხაზეთის კოლექტივმა.

ჯ. ანთია,
ჩვენი კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს პირველი ადგილი

◆

დამთავრდა ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სოფლის სპორტსმენთა სპარტაკიადა

◆

მძლეოსანთა შეჯიბრების მესამე დღეს მოლდავეთის გუნდმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და საგრძნობლად მიუახლოვდა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენების მიერ მოპოვებულ მაჩვენებლებს, მაგრამ წინა დღით განცდილმა დამარცხებამ მათ საშუალება არ მისცა მოეპოვებინათ პირველი ადგილი (საქართველოს მძლეოსნებმა მოაგროვეს 38.373 ქულა). მოლდაველები ამ წარმატებას განსაკუთრებით მორბენლებს უნდა უმადლოდნენ. მართალია ა. ზონდარმა 200 მეტრი 23.3-ში გაირბინა, მაგრამ იგი ფინიშზე მკერდით უკან იყო და იძულებული გახდა პირველობა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლის რ. ზერდინისათვის დაეთმო. სამაგიეროდ მისმა თანაგუნდელებმა აიღეს რევანში 400 და 5000 მეტრზე რბენაში, სადაც უძლიერესები აღმოჩნდნენ ო. კილიენკო და ი. იანუშკო. მოლდაველებმა ჩემპიონობა მოიპოვეს აგრეთვე ამანათრბენში 4×400 მეტრზე.

ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში უკანასკნელ ცდამდე ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა თ. გოგიას, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა თითქოს განაღდებული ეგონა ჩემპიონობა, იგი „ხელიდან გამოაცალა“ აზერბაიჯანელმა ალექპეროვმა, რომელმაც 7 სმ-ით უკეთესი შედეგი (6,85) აჩვენა. გოგიას რჩებოდა რევანშის აღების საშუალება — გამარჯვება სამხტომში. აქ კი ძლიერი აღმოჩნდა მასპინძელი, რომელიც გადახტა ყველაზე შორს — 13,61 მ. მეორე ადგილზე გამოვიდა სომხეთის წარმომადგენელი რ. ალაბეკიანი.

სოფლის მძლეოსანთა შეჯიბრების პროგრამაში შეტანილი იყო აგრეთვე ყუმბარის ტყორცნა. ი. წულუკიძემ, რომელმაც წინა დღით ყველაზე შორს ჰკრა შუბი, ახლაც გამოიჩინა თავი და შედეგით 65.03 მ უკან ჩამოიტოვა ყველა მოწინააღმდეგე. მან ერთი მეტრით უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე მეორე ადგილზე გამოსულმა თანაგუნდელმა ა. კორსანტიამ.

ოთხი მოძმე რესპუბლიკის სოფლის სპორტსმენთა სპარტაკიადაზე მოლდაველი მძლეოსნების მიერ მეორე ადგილის მოპოვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქალებმა, რადგან 200, 400 და 800 მეტრზე რბენაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები იძულებული გახდნენ II-III ადგილებით დაკმაყოფილებულიყვნენ. ლ. თოფჩიშვილს, რომელიც მესამე იყო 200 და 400 მ. რბენაში, გამარჯვების აშკარა შანსი ჰქონდა 800 მ. მაგრამ ცუდათ აგებულმა ბრძოლამ მას საშუალება არ მისცა მიეღწია მიზნისათვის, სწორედ უკანასკნელ სწორზე პირველობა დაუთმო მოლდაველ ლ. ჩოკინას.

სპარტაკიადის უკანასკნელ დღეს კიდევ ორი გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს სოფლის ფიზკულტურელებმა. წინა ორი მატჩის სავალალო შედეგებიდან ეტყობა სათანადო დასკვნები გამოუტანიათ ქალ ფრენბურთელთა გუნდსა და მის მწვრთნელს. შეხვედრა სომხეთთან თავიდანვე აღმავლობით დაიწყეს. მოედანზე არ განმეორებულა წინა დღის შეცდომები, მოიგეს შეხვედრა და გაინაღდეს მესამე ადგილი. ამ რესპუბლიკების ვაჟთა გუნდების შეხვედრაში უდაოდ აშკარა იყო საქართველოს ფრენბურთელთა უპირატესობა. ანგარიშით 3:0 მოიპოვეს მესამე გამარჯვება და ჩემპიონის წოდება. ქალთა შორის ჩემპიონი გახდა აზერბაიჯანის გუნდი.

ველოსიპედისტთა ტრასამ ქობულეთ-მახარაძის გზატკეცილიდან მესამე დღეს სოფელ კვირიკეს მიდამოებში გადაინაცვლა, სადაც უნდა გამართულიყო კროსი ქალებისათვის 10 და ვაჟებისათვის 30 კილომეტრზე. ტრასის 5 კილომეტრიან წრეზე მონაწილეებს ძალაუნებურად უხდებოდათ „ცივი შხაპის“ მიღება ფონსა და ჭაობიან ადგილებში გასვლისას.

— ვალია ენიკინა მოდის! — გაისმა მაყურებელში, ეტყობა სტარტი პირველად ქალებს აუღიათ. შეჯიბრების ლიდერი ოსტატურად გაძვრა ჩაის ბუჩქებს შორის, ფონთან სწრაფად გადმოხტა ველოსიპედიდან, ხელში აიტაცა იგი, და სირბილით გადალახა ფონი. არსად ჩანდა სომხეთის გუნდის წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი ა. ზახაროვა, რომელიც პირველობის ძირითად პრეტენდენტად ითვლებოდა, მაგრამ როგორც შემდეგ გამოირკვა, საგზატკეცილო რბოლაში საკმაოდ გამოცდილი სპორტსმენი სუსტი აღმოჩნდა კროსში. შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ვ. ენეკინა (საქართველო) — 25.57,0, სამაგიეროდ შედარებით სუსტად გამოვიდნენ მისი თანაგუნდელები ე. კიზიმი და ნ. პიკალოვა, რომლებმაც მხოლოდ მეშვიდე და მერვე ადგილების მოპოვება შეძლეს, რის გამო გუნდი იძულებული გახდა მეორე ადგილით დაკმაყოფილებულიყო. გაიმარჯვეს სომხეთის სპორტსმენებმა.

სხვაგვარად წარიმართა ბრძოლა ვაჟთა 30 კილომეტრიან დისტანციაზე. პირველსავე წრიდან რბოლას სათავეში ჩაუდგა ქობულეთელი კოლმეურნე ი. კარაფულიდი. მალე შეჯიბრებას გამოაკლდა აზერბაიჯანელი სპორტის ოსტატი ა. ხრაპკოვი, ველოსიპედის დაზიანების გამო რბოლას საკმაოდ ჩამორჩა რ. მიქაძეც, მაგრამ შემდეგში მან შეძლო დაკარგული დროის ანაზღაურება და მოიპოვა მეოთხე ადგილი.

15 კილომეტრის შემდეგ კარაფულიდს საგრძნობლად წამოეწია აზერბაიჯანის გუნდის წევრი მოროზოვი. იგი ერთხანს რბოლასაც ლიდერობდა. უკანასკნელ წრეზე კარაფულიდმა, რომელიც კარგად იცნობდა ამ დისტანციას, მძლავრი ბიძგით კვლავ ხელთ იგდო ლიდერობა და პირველმა დაამთავრა შეჯიბრება — 1:10.48,0. მეორე ადგილზე გამოსული მოროზოვი გამარჯვებულს ჩამორჩა 1.9 წუთით.

გუნდურ ჩათვლაში (ჩათვლაში შედიოდა სამი მონაწილის შედეგი) საქართველოს ველოსიპედისტებმა 6,30 წუთით უკეთესი შედეგი აჩვენეს, ვიდრე მეორე ადგილზე გამოსულმა აზერბაიჯანელებმა.

ფაქტიურად ამ შედეგმა გადაწყვიტა საერთო პირველი ადგილის ბედი ველოსპორტში. თუ ამ ხანებამდე საქართველოსა და აზერბაიჯანის სპორტსმენებს საჯარიმო ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ, ახლა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა ორი ქულით უკეთესი შედეგი აჩვენეს და მოიპოვეს საერთო პირველი ადგილი.

სპარტაკიადა დამთავრდა. ოთხი სახის შემდეგ ადგილები ასე განაწილდა: 1. საქართველო — 9,5 ქ., 2. აზერბაიჯანი — 20 ქ., 3. მოლდავეთი — 21 ქ,. 4. სომხეთი — 24,5 ქ.

სპარტაკიადის შემაჯამებელ საღამოზე, რომელიც აჭარის ფილარმონიის თეატრში გაიმართა, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის სოფლის ახალგაზრდობის განყოფილების გამგის მოადგილემ ნ. რომანოვმა ჯილდოები და თასები გადასცა გამარჯვებულ გუნდებს. 6-დან 5 თასი მოიპოვეს საქართველოს სპორტსმენებმა: თავისუფალ ჭიდაობაში, ველოსპორტში, მძლეოსნობაში, ვაჟთა ფრენბურთში და სპარტაკიადაში საერთო გუნდური პირველობისათვის.

ო. გელაშვილი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

*

სურათზე: კროსის დისტანციაზე.

საკავშირო ნახევარფინალები

10 ნოემბერს კიევში, ლენინგრადსა და სვერდლოვსკში დაიწყება საბჭოთა კავშირის XXV საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეჯიბრებები.

როგორც ცნობილია, საკავშირო პირველობის ნახევარფინალებში მონაწილეობის უფლება მოპოვებული აქვთ საქართველოს მოჭადრაკეებს — ოსტატ ბ. გურგენიძესა და საქართველოს ჩემპიონს, ოსტატობის კანდიდატს ა. ბლაგიძეს.

სვერდლოვსკის ნახევარფინალიდან, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს ბ. გურგენიძემ, ფინალში გასვლისათვის იბრძოლებენ გროსმაისტერები ტ. პეტროსიანი, ი. ავერბახი, ვ. კორჩნოი, ოსტატები გ. ბორისენკო, გ. ილივიცკი, მ. მუხიტდინოვი, ვ. სიმაგინი, ი. იუხტმანი, რ. ხოლმოვი და სხვ.

ნახევარფინალში, რომელიც კიევში ჩატარდება, ითამაშებს ა. ბლაგიძე. ამ ტურნირში მას მოუხდება ბრძოლა გროსმაისტერებთან დ. ბრონშტეინთან, ა. კოტოვთან, ი. ბოლესლავსკისთან, ე. გელერთან, ოსტატებთან — ე. ვასიუკოვთან, ვ. მიკენასთან, რ. ნეჟმეტდინოვთან, ს. ფურმანთან ა. სოკოლსკისთან და სხვებთან.

საბჭოთა კავშირის 1958 წლის საჭადრაკო პირველობის ფინალი ჩატარდება რიგაში 12 იანვრიდან. მასში მონაწილეობას მიიღებენ ნახევარფინალებში ექვს-ექვსი გამარჯვებული, და აგრეთვე სსრ კავშირის ჩემპიონი გროსმაისტერი მ. ტალი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის XXV პირველობის ფინალი ერთდროულად წარმოადგენს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ზონალურ ტურნირს. ფინალში პირველ ოთხ ადგილზე გასული მოჭადრაკე მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონის სახელის შესარჩევ საზონათაშორისო ტურნირში, რომლის ჩატარება გათვალისწინებულია 1958 წლის სექტემბერში იუგოსლავიის ქალაქ დუბროვნიკში.

ფეხბურთი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 3 ნოემბრისათვის
ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	21	15	4	2	48:15	34
ცსკ მო	22	13	1	8	51:31	27
„ტორპედო“	18	10	5	3	43:19	25
„ლოკომოტ“.	19	11	3	5	36:24	25
„სპარტაკი“ მ.	19	9	5	5	36:26	23
„დინამო“ კ.	20	8	7	5	28:25	23
„დინამო“ თბ.	20	8	4	8	27:30	20
„შახტიორი“	21	6	5	10	17:35	17
„ბურევესტ“.	21	3	10	8	21:36	16
„ზენიტი“	22	4	7	11	23:41	15
„კრ. სოვეტ“.	21	2	8	11	9:30	12
„სპარტაკი“ მნ.	22	1	7	14	11:40	9

მოსკოვი. 30 ოქტომბერი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „ტორპედო“ და ლენინგრადის „ზენიტი“.

თამაში მოიგეს ტორპედოელებმა ანგარიშით 2:0.

კიევი. 31 ოქტომბერი. კიევის „დინამომ“ თავის მინდორზე ჩაატარა მატჩი კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“.

მატჩი დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით — 2:0.

სტალინო. 1 ნოემბერი. ქალაქის სტადიონზე შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში, ადგილობრივ „შახტიორსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის.

თამაში დამთავრდა „შახტიორის“ გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

მოსკოვის „დინამო“— ჩემპიონი

31 ოქტომბერს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში დედაქალაქის გუნდებს „დინამოსა“ და „სპარტაკს“ შორის. სპარტაკელები მატჩზე გამოვიდნენ დიდი დანაკლისით — ავადმყოფობის გამო არ თამაშობდნენ ნეტო, სალნიკოვი, ტატუშინი, ისაევი, ოგონკოვი, ილინი და ტიშჩენკო, რომლებიც შეცვალეს მოთამაშეებმა დუბლიორთა შემადგენლობიდან. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატი ჯერ კიდევ არაა დამთავრებული, მოსკოვის „დინამომ“ 34 ქულით უკვე გაინაღდა სსრ კავშირის 1957 წლის ჩემპიონის წოდება ფეხბურთში.

ხვალ თამაშობენ ფინელები

საბჭოთა კავშირში ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად იმყოფება ქ. ტურკუს (ფინეთი) ფეხბურთელთა გუნდი. ფინელებმა პირველი მატჩი ითამაშეს ერევანში და განიცადეს დამარცხება ადგილობრივი „სპარტაკისაგან“ ანგარიშით 0:4.

31 ოქტომბერს სტუმრები ბაქოში შეხვდნენ „ნეფტიანიკს“. საინტერესო მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ხვალ ფინელი ფეხბურთელები თამაშობენ თბილისში ოსკ-ის გუნდთან.

ჟიულ რიმეს თასზე

განვლილი კვირის მანძილზე შედგა რამდენიმე შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში.

ევროპის ზონის მეორე ჯგუფში დიდი ინტერესით მოელოდნენ უკანასკნელ შეხვედრას საფრანგეთისა და ბელგიის გუნდებს შორის.

27 ოქტომბერს ეს მატჩი შედგა ბრიუსელში და დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამთავრდა ფრედ — 0:0. საბოლოო მდგომარეობა ამ ჯგუფში ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
საფრანგეთი	4	3	1	0	19:4	7
ბელგია	4	2	1	1	16:11	5
ისლანდია	4	0	0	4	6:26	0

იმავე დღეს, როცა თამაშობდნენ საფრანგეთისა და ბელგიის გუნდები, ლეიპციგში ერთმანეთს შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელები. ჩეხებისათვის საკმარისი იყო თუნდაც ფრედ დაემთავრებინათ მატჩი და პირველი ადგილი ჯგუფში მათ განაღდებული ჰქონდათ, ხოლო გერმანელთა გამარჯვება გამოიწვევდა იმას, რომ ჯგუფის სამივე გუნდი თავიდან უნდა შეხვედროდა ერთმანეთს. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა კარგად ჩაატარა მატჩი, გაიმარჯვა ანგარიშით 4:1 და გუნდმა მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ჩეხოსლოვაკია	4	3	0	1	9:3	6
უელსი	4	2	0	2	6:5	4
გდრ-ი	4	1	0	3	5:12	2

შედგა უკანასკნელი მატჩი ცენტრალური ამერიკის მეორე ჯგუფშიც. არგენტინელებმა თავიანთ დედაქალაქ ბუენოს-აირესში მიიღეს ბოლივიის გუნდი. არგენტინის ფეხბურთელთა უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა მთელი თამაშის განმავლობაში და გამარჯვებაც მათ დარჩათ ანგარიშით 4:0. ამ მოგებით არგენტინის ნაკრები გუნდი გავიდა ფინალში.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
არგენტინა	4	3	0	1	10:2	6
ბოლივია	4	2	0	2	6:6	4
ჩილი	4	1	0	3	2:10	2

ამჟამად შვეციის საფინალო ტურნირის 16 ვაკანტური ადგილიდან გამორკვეულია 10. ფინალში არიან: შვეცია, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, ინგლისი, ავსტრია, ბრაზილია, პარაგვაი, მექსიკა, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია და არგენტინა.

ასპარეზობენ ცხენოსნები

ოჩამჩირის მახლობლად, სოფელ ბესლახუბის იპოდრომზე 2 დღეს მიმდინარეობდა რაიონის პირველობა ცხენოსნობაში კოლმეურნე სპორტსმენთა შორის.

7 გუნდი მონაწილეობდა ისინდში. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ფოქვეშისა და ჰლოუს ცხენოსნებმა. ისინდი მოიგეს ფოქვეშელებმა ანგარიშით 7:3. ამავე სოფლების წარმომადგენლები იბრძოდნენ ცხენბურთელთა ტურნირის ფინალში და გამარჯვება აქაც ფოქვეშის გუნდმა მოიპოვა.

ცხენოსანთა დიდმა რაოდენობამ (44) მიიღო მონაწილეობა შეჯიბრებაში დაბრკოლებათა გადალახვაზე. აქ საუკეთესო იყო ცხენოსანი ბ. ჯინჯოლია (სოფ. აგუბედია).

შეჯიბრების მეორე დღეს გაიმართა დოღები 2, 3 და 4 კილომეტრზე. ცხენთა რბოლა 2 კილომეტრზე მოიგო ფოქვეშელმა ვ. ლოგუამ. 3 კილომეტრზე პირველობა მიეკუთვნა ა. ქუბას (სოფ. ჯგერდი), ხოლო დოღში 4 კილომეტრზე ფინიშთან პირველი იყო ქ. გაბლია (ტამიში).

მაყურებელთა განსაკუთრებული, ინტერესი გამოიწვია მარულამ. 8 კილომეტრზე გაიმარჯვა ა. შინქუბამ (სოფ. თხინა), ხოლო 10 კილომეტრზე — ბ. ფაჩულიამ (სოფ. ფოქვეში).

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვეს ფოქვეშის ცხენოსნებმა.

ვ. დოხნაძე

„მეცნიერი-სპორტსმენი“

ალექსანდრე კაიშაურის წიგნი „მეცნიერი-სპორტსმენი“ დიდსა და საპატიო ამოცანას ისახავს — მოგვითხროს გამოჩენილი მეცნიერისა და ამავე დროს, საქართველოში სპორტული ტანვარჯიშისა და მთასვლელობის ფუძემდებლის — გიორგი ნიკოლაძის სპორტული ბიოგრაფია და გვაჩვენოს მისი ღვაწლი ამ დარგთა განვითარებაში.

ეს ნაშრომი პირველია. ასეთი სახის ბიოგრაფიები ჩვენ ჯერ არ გვაქვს, დასაწერი და გამოსაცემი კი ბევრია. თუნდაც, ამავე წიგნში მრავალჯერ მოხსენებული გიორგი ეგნატაშვილი ან ალექსანდრე ჯაფარიძე ღირსნი არიან, რომ მათ შესახებ ასეთივე სპორტული წიგნები დაიწეროს.

გიორგი ნიკოლაძე სპორტის მრავალი დარგს მცოდნე და მიმდევარი იყო, მაგრამ განსაკუთრებით იზიდავდა მას ტანვარჯიში და მთასვლელობა. შემთხვევითი როდია, რომ სპორტის ამ ორივე დარგის ქართულ ენაში დამკვიდრებული სახელწოდება — „ტანვარჯიში“ და „მთასვლელობა“ გიორგის ეკუთვნის.

ალ. კაიშაური დაწვრილებით გვაცნობს, თუ როგორ იზრდებოდა გიორგი ნიკოლაძე და როგორ ყალიბდებოდა მისი ხასიათი, სამეცნიერო და სპორტული მისწრაფებანი; მოგვითხრობს თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა გიორგიზე მამასთან ერთად ჯერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და მერე — ევროპის ქვეყნებში მოგზაურობამ.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა პატარა მოგზაურზე შვეიცარიამ, სადაც მან მოინახულა შვეიცარიისა და ევროპული ალპინიზმის აკვანი — სოფელი შამონი და გაეცნო შვეიცარიელ გამყოლებს. კარგი იყო ავტორს ისიც გაეხსენებია, რომ ამ პერიოდს ეკუთვნის გიორგი ნიკოლაძის პირველი მთასვლური მოგზაურობა — 13 წლის გიორგი მწვერვალ „ბუმბერაზის“ თავზე ადის და აქედან იწყება მისი გატაცება სპორტის ამ შესანიშნავი სახეობით.

ბავშვობიდანვე იტაცებს გიორგის ცურვა, ბადროს ტყორცნა, მშვილდოსნობა, რბენა და ტანვარჯიში, ხოლო თბილისში, პირველ გიმნაზიაში სწავლის წლებში, საბოლოოდ ჩამოყალიბდა გიორგის სპორტული მისწრაფებანი. 1899 წელს 11 წლის ასაკში იგი გიმნაზიაში გამართულ საჯარო ტანვარჯიშულ დილაში იღებს მონაწილეობას გურზებით ვარჯიშში. ეს იყო მისი პირველი საჯარო გამოსვლა.

ა. კაიშაური მოგვითხრობს გიორგის, როგორც ტანმოვარჯიშის, ზრდის შესახებ, ამასთანავე ვრცლად ეხება თბილისელ ტანმოვარჯიშეთა ჯგუფის მუშაობას და მისი ერთ-ერთი ფუძემდებლის გიორგი ეგნატაშვილისა და ჩეხი მწვრთნელის — ანტონ ლუკეშის როლს ტანვარჯიშის განვითარების საქმეში.

გიორგიმ 7 წელი გაატარა პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში და ინტენსიურ მეცადინეობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა სპორტული საზოგადოების მუშაობაში. იმჟამად იგი უკვე მწვრთნელია, მონაწილეობას იღებს რუსეთის ტანვარჯიშულ შეჯიბრებებში და პირველობისათვის მრავალჯერ ჯილდოებსაც იღებს.

1908 წელს გიორგი მონაწილეობს ბულგარითთან ტანვარჯიშულ შეჯიბრებაში (სოფიაში), ხოლო 1913 წელს ქალაქ პეტერბურგში მიაღწია ბრწყინვალე გამარჯვებას რუსეთის პირველობაზე.

ალ. კაიშაური ვრცლად ეხება ამ პერიოდში გიორგის მუშაობას ქართული სპორტული ტერმინოლოგიის შექმნაზე. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ავტორი არ კმაყოფილდება მოთხრობით იმ შეჯიბრებათა შესახებ, რომლებშიც მონაწილეობას იღებდა გიორგი, არამედ ასურათებს მას ამ შეჯიბრებებზე შესრულებულ ვარჯიშების ვრცელი აღწერილობით.

1912 წელს გიორგი მონაწილეობას იღებს მე-6 საერთაშორისო შეჯიბრებაში ქ. პრაღაში, სადაც 2000 მონაწილეთა შორის ტანვარჯიშში მე-15 ადგილზე გამოვიდა, მიიღო პრემია და დიპლომი, ხოლო მძლეოსნურ ექვსჭიდში მე-19 ადგილი დაიკავა. განსაკუთრებით ისახელა თავი მან ბადროსა და შუბის ტყორცნაში. მისი ფოტოსურათი ბადროს ტყორცნის დროს ღია ბარათად იქნა გამოცემული.

ბევრი საინტერესო ეპიზოდია მოთხრობილი ტექნოლოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დონბასის მეტალურგიულ ქარხნებში მუშაობის პერიოდთან დაკავშირებით, მაგრამ განსაკუთრებით ავტორი დიდ ადგილს უთმობს გიორგის საორგანიზაციო მუშაობას საქართველოში ტანვარჯიშის მასობრივად დამკვიდრებისათვის.

ავტორი აღნიშნავს გიორგის განსაკუთრებულ შრომისუნარიანობას და მოჰყავს ცნობილი მეტალურგის — ირაკლი ლორთქიფანიძის სიტყვები: „მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ყოველდღიურად ბრძმედზე 13 საათს ატარებდა და ხშირად გაცილებით მეტსაც, მას დრო ყველაფრისათვის ყოფნიდა და ყველაფერს ყველაზე მეტს აკეთებდა“.

გარდა სამსახურებრივი მოვალეობისა, იგი ასწრებდა თავის მათემატიკურ გამოკვლევებს, კვირაში სამჯერ ორ-ორი საათით თვითონ ვარჯიშობდა, საკმაო დროს ანდომებდა ტანვარჯიშის დარბაზის ხელმძღვანელობას და ა. შ.

ვრცლადაა მოთხრობილი გიორგის მრავალმხრივი მოღვაწეობა საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დანერგვის, სპორტული კადრების მომზადების დარგში. ეს სტრიქონები საქმის ცოდნითა და სიყვარულით არის დაწერილი.

გიორგი ნიკოლაძის სპორტული მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის პრაქტიკულ საინჟინრო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან უმაღლეს სკოლაში, ამიტომ, ავტორი სწორად მოიქცა, რომ ამდენი ადგილი დაუთმო გიორგის მოღვაწეობის ამ მხარეებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკვე წიგნის თემის ფარგლებს სცილდება.

ვრცლად არის განხილული გიორგის როლი, როგორც ალპინიზმის ფუძემდებლისა საბჭოთა კავშირში, მისი პირველი საბჭოური ასვლები 1923 და 1925 წლებში მყინვარწვერსა და იალბუზზე, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა მთასვლელობას და ფართო გამოხმაურება ჰპოვეს.

საინტერესოა, რომ სპორტული მისწრაფებანი ტანვარჯიშსა და მთასვლელობის დარგში, ყველგან თან სდევდა გიორგის. 1925 წელს სადოქტორო დისერტაციის დასაცავად საფრანგეთში მივლინებისა და შემდეგ ევროპაში მოგზაურობის დროს გიორგი ერთი წუთითაც არ ივიწყებს თავის „სპორტულ სპეციალობებს“: ბერლინში და პარიზში ეცნობა ტანვარჯიშული საზოგადოებების მუშაობას და ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციას საშუალო სკოლებში; ლონდონში, გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო კრებაზე მოხსენებას აკეთებს თავისი ასვლების შესახებ.

ალ. კაიშაური მრავალ საინტერესო ეპიზოდს გვაცნობს გიორგის მორალური უდრეკელობისა და ხასიათის შესანიშნავ მხარეთა შესახებ. მოთხრობას განსაკუთრებით აცოცხლებს გ. ნიკოლაძის თანამებრძოლთა და ახლობელთა მოგონებანი, განსაკუთრებით საყურადღებოა ირაკლი ლორთქიფანიძის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გიორგი ეგნატაშვილის, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დავით ჯავრიშვილის მოგონებები.

ყველა სპორტსმენი და სპორტით დაინტერესებული სიამოვნებით წაიკითხავს ქართული სპორტის დიდი მოამაგის ცხოვრების შესახებ დაწერილ წიგნს.

ქ. ჯავრიშვილი

---

*) ალექსანდრე კაიშაური — „მეცნიერი სპორტსმენი“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი 1957 წ.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ზეიმის დროს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში ყოველწლიურად სტარტი ეძლევა მეგობრობისა და მშვიდობის ესტაფეტას. ესტაფეტის ფინიში შედგება დღეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე იმ ვარაუდით, რომ ესტაფეტა მოსკოვში მიღებულ იქნას 7 ნოემბერს. **სურათზე:** ესტაფეტა მიაქვთ პრაღის ქუჩებში.

ჭრელ-ჭრელი ამბები

ხიდი, აშენებული ერთი თამაშისათვის

საფრანგეთის ქალაქ რენში ამას წინათ ჩატარდა საფრანგეთისა და უნგრეთის ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდების შეხვედრა. სტადიონამდე მხოლოდ ერთი ქუჩა მიდიოდა; ამის გამო სტადიონის მეორე მხრიდან მდ. ვილენზე აშენდა პონტონის ხიდი. ამით მაყურებლებს შეექმნათ სტადიონზე მისვლის და, რაც მთავარია, სტადიონიდან „ევაკუაციის“ კარგი პირობები.

ყვავილები — ყვავილებად და წესი — წესად

შვედ მსაჯს ფეხბურთში ნ. ოლსენს, მე-1000-ე თამაშის ჩატარების დროს შეჯიბრებაში მონაწილე ორივე გუნდმა ყვავილების დიდი თაიგულები მიართვა. თაიგულებმა, წესიერების მოყვარულ მსაჯს, გული ვერ მოულბო და როდესაც მოწინააღმდეგე გუნდების ორმა ფეხბურთელმა უხეშობა ჩაიდინა, ორივე გააძევა მოედნიდან და უთხრა: „ყვავილები — ყვავილებად და წესი — წესად, დამიცადეთ გასახდელში და თქვენს წილ ყვავილებს, რომელიც პატივისცემის სახით გადმომეცით, უკან დაგიბრუნებთ“.

ინციდენტი შარაგზაზე

რომის ერთ-ერთ ვიწრო ქუჩაზე მიდიოდა 15-ტონიანი სატვირთო მანქანა, რომელსაც გზის მთელი სიფართე ეკავა. ბევრს ეცადა უკან მომავალი მსუბუქი მანქანა როგორმე გაესწრო მისთვის, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა სატვირთო მანქანის მძღოლმა გააჩერა თავისი მანქანა, მივიდა მსუბუქი მანქანის პატრონთან, სილა გააწნა და გზა განაგრძო. როგორც იქნა, მსუბუქმა მანქანამ გადაასწრო მას და გზა გადაუკეტა. მსუბუქი მანქანის მძღოლი მივიდა საბარგო მანქანის მძღოლთან, მოარტყა და ნოკაუტში ჩააგდო.

რა იცოდა სატვირთო მანქანის მძღოლმა, რომ მსუბუქ მანქანა „ფიატს“ მართავდა ევროპის ჩემპიონი, მსუბუქი წონის მოკრივე, პროფესიონალი დულიო ლოი, თორემ ალბად გზას ადრევე დაუთმობდა.

უცნაური საჩუქარი

მსოფლიოს ერთ-ერთი პოპულარული ფეხბურთელი სტენლი მეტიუზი (ინგლისი) სამხრეთ აფრიკაში იყო დასასვენებლად. მაგრამ არც აქ მოასვენეს ფეხბურთის მოყვარულებმა იგი — ყოველდღე სხვადასხვა სამახსოვრო საჩუქრებს იღებდა. მისი პოპულარობით და, როგორც ჩანს, საერთოდ ფეხბურთით აღტაცებულმა აფრიკის ერთ-ერთი ტომის მეთაურმა — ზა ნატმაც ინახულა სტენლი მეტიუზი და მას საჩუქრათ მიგვარა... თავის ყველაზე უფრო საყვარელი ცოლი. მეტიუზმა რის ვაი-ვაგლახით და ჯენტლმენობის ყველა კანონების დაცვით, ისე რომ ტომის მეთაურისათვის წყენა არ მიეყენებია, უარი სთქვა ამ უცნაურ საჩუქარზე.

სად გადარჩა და სად დაშავდა

ეს ამბავი მოხდა იტალიაში. ფეხბურთელი ლუიჯი როსსი იტალიის ერთ-ერთ პროფესიონალური კლუბის მოთამაშე, გაემგზავრა მორიგი თამაშის ჩასატარებლად მოტოციკლეტით ქალაქ არიანო დი პუგრიაში. ნეაპოლის აპენინების გავლის დროს, მან დაჰკარგა მართვის უნარი და მანქანიანად 25 მეტრიან ხევში გადაიჩეხა. მოტოციკლიდან დარჩა მხოლოდ დამსხვრეული უფორმო ნაწილები, როსსი კი სავსებით უვნებელი გადარჩა.

გზადმიმავალმა ავტომძღოლმა თავის დროზე ჩაიყვანა იგი დანიშნულ ადგილას. თამაშის დაწყებიდან 10 წუთის შემდეგ, მაღალი ბურთისათვის ბრძოლის დროს როსსი ახტა და ისე უხეიროდ დაეცა თავის მოწინააღმდეგესთან ერთად, რომ გაიტეხა ლავიწის ძვალი და დიდი ხნით ლოგინში ჩაწვა.

5 წლიდან ჭოკით მხტომელი

ფინეთის სპორტული საზოგადოებრიობა დიდ იმედებს ამყარებს 14 წლის მოსწავლე აულისა კაირენტოზე. იგი უკვე ცხრა წელიწადია, რაც მეცადინეობს ჭოკით ხტომაში და ამ რამდენიმე ხნის წინ გადახტა 3 მეტრსა და 45 სმ. ფიქრობენ, რომ ახალგაზრდა ნიჭიერი მძლეოსანი სულ მოკლე ხანში ჩადგება მსოფლიოში უძლიერეს ჭოკით მხტომელთა რიგებში.

ერთადერთი გამოსავალი

ამას წინათ საფრანგეთში გაიმართა საინტერესო საფეხბურთო მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ექიმებისა და ბანკის მოსამსახურეთა ნაკრები გუნდები. შეხვედრა მოიგეს ექიმებმა 6:3.

თამაშის პროცესში ხუთმა ბანკის მუშაკმა მიიღო ტრავმა და იძულებული გახდა საექიმო დახმარებისათვის მიემართა თავისი მოწინააღმდეგისათვის. როგორც ფრანგული პრესა აღნიშნავს ექიმების გუნდმა ხშირად უნდა მიიღოს მონაწილეობა ასეთ შეჯიბრებაში. მაშინ მათ ეყოლებათ ბევრი პაციენტი და ერთგვარად თავს დააღწევენ უმუშევრობას.

ჟურნალისტი ფეხბურთელები

ყოველ სამშაბათს, ფრანგული კლუბის „ტულუზას“ ფეხბურთელები გამოდიან ჟურნალისტების როლში და წერენ კვირის ფეხბურთის ანგარიშებს. ამ დღეს ისინი იქცევიან როგორც ნამდვილი ჟურნალისტები. კითხულობენ და ასწორებენ მასალებს, მიაქვთ ისინი სტამბაში, ასწორებენ ანაბეჭდებს და ახალი ნომრის დაბეჭდვის შემდეგ იშლებიან სახლებში, მეორე დილით კი, ისინი თვითონ ჰყიდიან ყოველკვირეულ გაზეთს, ფრანგებს ძალიან უყვართ „ტულუზის ფეხბურთი“, რომელშიც მატჩების საერთო ანგარიშებთან ერთად ინტერესით კითხულობენ ფეხბურთის ჭორებს, პროგნოზებს და ცნობილ მოთამაშეთა აზრებს.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34,

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. უე 02656